GEORGIAN INTERNATIONAL UNIVERSITY GIU

ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების

წ ე ს დ ე ბ ა

მოქმედების სფერო საგანმანათლებლო/სააწვალო დაწესებულება

შედგენის თარიღი 1.09.2024

დამტკიცებულია

შეთანხმებულია: შპს. "საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ"

შედგენილია: შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ

2024 წელი

შინაარსი

1. შესავალი....3
2. მოქმედების სფერო....3
3. მიზნები და ამოცანები....4
4. ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მართვის ციკლის განმარტებები....4
5. ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა....5
6. ლიდერობა და შრომის უსაფრთხოების კულტურის ამაღლება ორგანიზაციაში....9
7. თანამშრომლების ჩართულობა და კონსულტაცია....10
8. საფრთხეების იდენტიფიცირება....10
9. რისკების შეფასება....10
10. საკანონმდებლო და სხვა მოთხოვნები....11
11. შეფასების კრიტერიუმები....12
12. რესურსები შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად....12
13. როლი და პასუხისმგებლობები კომპანიაში....12
14. სწავლებები და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება....13
14.1. ინსტრუქტაჟები სამუშაო ადგილზე....14
14.2. პერსონალის ცოდნისა და კომპეტენციის შემოწმება....14
15. კომუნიკაციის ფორმა და მეთოდები ორგანიზაციაში....14
16. დოკუმენტაციის მართვა....15
17. შრომის უსაფრთხოების პროცედურები....15
18. სამუშაო ინსტრუქციები....16
19. სამუშაო პროცესების მართვა....17
20. ცვლილებების მართვა....17
23 პრევენციული და მაკორექტირებელი ღონისძიებები....18
24. კონტრაქტორი ორგანიზაციები, აუტსორსინგი და ვიზიტორი კომპანიის სამუშაო ობიექტზე....19
25. მზადყოფნა ავარიულ სიტუაციებზე....20
26. ხარვეზების ანალიზი....20
27. მიმდინარე და ნარჩენი მაჩვენებლების ანალიზი....21

1. შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელო შექმნილია შპს „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ“-სთვის და ის ასახავს ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მართვის ძირითად პრინციპებსა და მიდგომებს. აღნიშნული დოკუმენტი ეფუძნება ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხების მართვის სისტემას, ის სავალდებულოა შპს „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ“-ს ყველა სამუშაო ობიექტზე.

რომელიც დაკავშირებულია მრავალი სახის საფრთხეებთან, მათი კონტროლისა და მართვისათვის საჭიროა სისტემური მიდგომა, რისი საფუძვლებიც მოცემულია წინამდებარე დოკუმენტში.

2. მოქმედების სფერო

კომპანიის ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის მოქმედების არეალია:

- საგანმანათლებლო/სააწვლო დაწესებულება

მართვის სისტემა ფარავს კომპანიის ყველა ბიზნეს მიმართულებებს

ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის მოკლე აღწერა და განმარტებები

შპს „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ“-ს ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემა ეყრდნობა საერთაშორისოდ აღიარებულ მართვის ციკლს- დაგეგმარება, განხორციელება, შემოწმება და ქმედება და ის სრულად იზიარებს გათვალისიწინებულ მოთხოვნებს.



3. მიზნები და ამოცანები

კომპანია საკუთარ მიზნებსა და ამოცანებს განსაზღვრავს და ადგენს ყოველწლიურად.
კომპანიის მიზნები და ამოცანები იყოფა ორ კატეგორიად:

1. ჯგუფის ძირითადი მიზნები და ამოცანები;
2. კომპანიის ადგილობრივი მიზნები და ამოცანები.

შრომისა და ჯანმრთელობის მართვის სისტემის მუდმივი სრულყოფისა და გაუმჯობესების მიზნით კომპანიის ადგილობრივი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა ხდება ყოსაქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ წლის დასაწყისში დირექტორისა და H&S კოორდინატორის მიერ და თანხმდება დირექტორთან ბიზნეს მიმართულების შესაბამისად. ადგილობრივი მიზნები და ამოცანები მომდინარეობს და თანხვედრაშია კომპანიის შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების ყოველწლიურ სამოქმედო გეგმასთან, რომელსაც განიხილავს და ამტკიცებს შპს „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ“-ის დირექტორი.

კომპანიის ადგილობრივი მიზნების განსაზღვრაში გათვალისწინებული უნდა იყოს კომპანიისათვის მნიშვნელოვანი ან ყველაზე მეტად კრიტიკული საკითხები, რომელთა შესრულებაც არის რეალისტური.

4. ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მართვის ციკლის განმარტებები

დაგეგმარება	▪ ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მართვის სრული ციკლის მოქმედების არეალის განსაზღვრა ▪ ლიდერობა ▪ პერსონალის ჩართულობა და კონსულტაცია ▪ შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა ▪ საფრთხეების იდენტიფიკაცია ▪ რისკების შეფასება ▪ საკანონმდებლო და სხვა მოთხოვნებთან შესაბამისობის განსაზღვრა ▪ მიზნები და ამოცანების განსაზღვრა ▪ შეფასების კრიტერიუმები-მიმდინარე და ნარჩენი მაჩვენებლების განსაზღვრა
განხორციელება	▪ რესურსების განსაზღვრა ▪ ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა ▪ ტრეინინგები და პერსონალის კომპეტენციის ამაღლება ▪ კომუნიკაციის მეთოდების განსაზღვრა ▪ დოკუმენტაციის მართვა ▪ პროცესების მართვა

	▪ ცვლილებების მართვა ▪ ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების მოკვლევა და ანალიზი ▪ შესყიდვები ▪ კონტრაქტორები ▪ აუტსორსინგი ▪ მზადყოფნა ავარიულ სიტუაციებზე
შემოწმება	▪ შიდა აუდიტი ▪ მიმდინარე და ნარჩენი მაჩვენებლების ანალიზი და განხილვა ხელმძღვანელობასთან
ქმედება	▪ მაკორექტირებელი ზომების განსაზღვრა მუდმივი განვითარების უზრუნველსაყოფად
H&S	▪ ჯანმრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება

5. ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა

შპს „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ“-ის ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა განსაზღვრულია შპს „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ“-ის მიერ. პოლიტიკას გამოსცემს და ამტკიცებს ორგანიზაციის დირექტორი.

შპს „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ“-ს ჩვენ ვიზიარებთ სოციალურ პასუხისმგებლობას და დარწმუნებულნი ვართ, რომ თანამშრომლებზე და დასაქმებულთა ინტერესებზე ორიენტირებული კორპორატიული კულტურა კომპანიის წარმატების საწინდარია. ჯანმრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება კომპანიის ძირითადი ღირებულება და ჩვენი საქმიანობის განუყოფელი ნაწილია.

მას შემდგომ, რაც დავრწმუნდით, რომ შრომით გამოწვეული ტრამვებისა და პროფესიული დაავადებების პრევენცია შესაძლებელია, ჩვენ მუდმივად ვიღწვით, რომ შევამციროთ რისკების ზეგავლენა თანამშრომლებზე, კონტრაქტორებსა და მესამე მხარეზე და ამით ვუზრუნველყოთ უსაფრთხო სამუშაო გარემო ინციდენტებისა და უბედური შემთხვევის გარეშე.

კომპეტენცია

აღნიშნული პოლიტიკა ვრცელდება შპს „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ“-ის მართვისა და კონტროლის ქვეშ მყოფ ყველა საწარმოზე, ოფისზე და საწყობე ფართებზე

ვალდებულებები

იმისათვის, რომ მუდმივად გავაუმჯობესოთ ჩვენი საქმიანობა, ჩვენ შევიმუშავეთ ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემები, რომლის ძირითადი ელემენტებია:

- მკაფიო მიზნების დასახვა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება
- უსაფრთხო სამუშაო გარემოს, მოწყობილობა აღჭურვილობისა და სამუშაო პროცესების უზრუნველყოფა, რისკების რეგულარული შეფასებით
- თანამშრომლების გადამზადებას შრომის უსაფრთხოების საკითხებში, რაც უზრუნველყოფს მათი კომპეტენციის ამაღლებას და სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულებას
- სამუშაო ადგილების რეგულარული შემოწმება, რათა დავრწმუნდეთ მათ შესაბამისობაში საკანონმდებლო და ჯგუფის მოთხოვნებთან მიმართებაში
- ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობა, მონიტორინგი და ანალიზი
- მითითებებისა და ინსტრუქციების მიცემა ჩვენი პროდუქციის გამოყენების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით

შპს „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ“-ს საქმიანობას ეწევა ადგილობრივი, რეგიონალური, ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით და იცავს კომპანიის შიგნით არსებულ სტანდარტებსა და პროცედურებს, რომლებიც დაკავშირებულია ჯანმრთელობის დაცვასა და შრომის უსაფრთხოებასთან. ჩვენ ასევე ვმუშაობთ თანამშრომლებთან, კონტრაქტორებთან და მესამე მხარის პირებთან, რათა თავიდან იქნას აცილებული უბედური შემთხვევები და მოხდეს საზოგადოების ინფორმირება ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების ფარგლებში ჩვენი საქმიანობის შესახებ.

წესები

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას ჩვენი თანამშრომლების, კონტრაქტორებისა და მესამე მხარის უსაფრთხოება, სავალდებულოა შპს „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ“-ს ყველა სამუშაო ობიექტზე საჭიროების მიხედვით გამოვიყენოთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ჯგუფის სახელმძღვანელოებსა და შიდა სამუშაო პროცედურებში

დაუშვებელია არსებული წესების დარღვევა ან უგულვებელყოფა

ასევე ყველა თანამშრომლელი და კონტრაქტორი, ვინც მუშაობს კომპანიის საკუთრებაში არსებულ სამუშაო ობიექტზე, ვალდებულია დაიცვას ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების ძირითადი წესები:

- ყველა სახის ინდივიდუალური დაცვის საშუალება სათანადოდ უნდა იყოს შერჩეული და გამოყენებული კონკრეტული სამუშაოსათვის. ეს განსაკუთრებით ვრცელდება შემდეგ შემთხვევებზე:

- ავტო სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებისას ღვედის გამოყენება
- სახანძრო და ელექტრო უსაფრთხოების ნორმების, წესების ცოდნა და დაცვა

- ყველა მოწყობილობა დანადგარი უნდა იყოს შესაბამისი წესით იზოლირებული ყველა სახის ენერგიის წყაროსაგან, რათა არ მოხდეს მისი უნებლიე ჩართვა და ამოძრავება სამუშაოს შესრულებისას
- მოწყობილობის ჩართვამდე უნდა მოხდეს ყველა სახის დამცავი საფარის დაყენება
- დახურულ სივრცეში შესვლა ნებადართულია მხოლოდ სამუშაო ნებართვის საფუძველზე მხოლოდ კომპეტენტური პირებისათვის ზედამხედველობის ქვეშ
- ავტო-ტრანსპორტის მართვა განხორციელდეს მხოლოდ შესაბამისი მართვის მოწმობის მქონე პირის მიერ, ადგილობრივი კანონმდებლობისა და კომპანიის მოთხოვნების გათვალისწინებით.
- ყველა სახის ინციდენტი და უბედური შემთხვევა უნდა იყოს გამოძიებული, დადგინდეს ინციდენტის გამომწვევი პირდაპირი, ძირეული მიზეზები და მხოლოდ მათი ანალიზის საფუძველზე გატარებულ იქნას პრევენცული ზომები.

ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების წესების შესახებ დანარჩენი ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია ჯგუფის სახელმძღვანელოებსა და სამუშაო პროცედურებში, რომელთა განახლება ხდება რეგულარულად.

დაუშვებელია არსებული წესების შეუსრულებლობა და უგულვებელყოფა

1. ადგილობრივმა მენეჯმენტმა რისკების შეფასების საფუძველზე უნდა განსაზღვროს გამონაკლისები და პროდუქციის მახასიათებლები;
2. შეფასების საფუძველზე უნდა განისაზღვროს ის დახურული სივრცეები, რომლებიც არ საჭიროებენ ნებართვას.

ფუნქციები და პასუხისმგებლობები

შპს „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ“-ს მმართველობის ყველა რგოლი არის პასუხისმგებელი ჯანმრთელობის დაცვასა და შრომის უსაფრთხოებაზე. ამავდროულად, გვინდა ხაზი გაუსვათ, რომ კომპანიის ყველა თანამშრომელს, კონტრაქტორს თუ მესამე მხარეს აქვთ პირდაპირი ვალდებულება, დაიცვან ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების პროცედურები, რაც არის, როგორც მათი, ასევე გარშემომყოფთა უსაფრთხოების საწინდარი.

შპს „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ“-ს საკუთარი თანამშრომლების, კონტრაქტორების, ვიზიტორების და მესამე მხარის უზრუნველსაყოფად მოქმედებს. შპს „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ“-ს პოლიტიკის, ადგილობრივი კანონმდებლობის და შიდა რეგულაციების გათვალისწინებით.

კომპანიის გამოწვევები

აღნიშნულ თავში გაანალიზებულია ის შიდა და გარე გამოწვევები და პრობლემები, რომლებსაც შეუძლიათ თავიანთი ნეგატიური გავლენა მოახდინონ კომპანიის ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სისტემის გამართულად ფუნქციონირებაზე.

კომპანია შპს „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ“-ს წარმოადგენს წარმატებული საწარმოს არა მარტო გაყიდვების განხრით არამედ შრომის უსაფრთხოების კუთხითაც.

აღნიშნული გამოწვევები პირობითად დაყოფილია შიდა და გარე ფაქტორებად.

შიდა ფაქტორები

შპს „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ“-ში მოხდა ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის შექმნა. აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული შრომის უსაფრთხოების სამსახურის მიერ მიღებული გამოცდილებით შესაძლოა დავასკვნათ რომ ორგანიზაციისათვის ერთ ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება:

- შრომის უსაფრთხოების კულტურის დონის ამაღლება თანამშრომლებში;
- პერსონალის კომპეტენციისა და ცნობიერების ამაღლება შრომის უსაფრთხოებაში;
- ცვლის უფროსების ან/და საქმეთა მმართველების კომპეტენციისა და გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობის გაზრდა ყოველდღიურ საქმიანობაში;
- დარგის ადგილობრივი მენეჯერების საქმეთა მმართველების ცნობიერებისა და კომპეტენციის ამაღლება შრომის უსაფრთხოებაში.
- საფრთხის შემცსაქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ გარემოებების და არშემდგარი უბედური შემთხვევის რეპორტირება თანამშრომლების მხრიდან.

გარე ფაქტორები

აღნიშნულ ეტაპზე ყველაზე კრიტიკული გარე ფაქტორი რამაც შესაძლოა ნეგატიური გავლენა მოახდინოს ორგანიზაციის შრომის უსაფრთხოების სისტემის გამართულად ფუნქციონირებაზე ეს არის კონტრაქტორი და ქვეკონტრაქტორი ორგანზაციები.

კონტრაქტორი ორგანიზაციების პირობითად შესაძლოა დავყოთ მუდმივ და დროებით კონტრაქტორებად. აქედან ყველაზე მეტად საყურადღებოა დროებითი კონტრაქტორი ორგანიზაციები, რომლებიც შემოდიან კომპანიის ტერიტორიაზე გარკვეული პერიოდით სხვადასხვა სახის სამუშაოების შესასრულებლად.

მიუხედავად იმისა რომ 2018 წლიდან ამოქმედდა კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ და 2019 წლის სექტემბრიდან აღნიშნული კანონი გავრცელდა ყველა ეკონომიკურ საქმიანობაზე, საერთო კულტურული დონე შრომის უსაფრთხოების კუთხით ქვეყნის მასშტაბით მნიშვნელოვნად არ შეცვლილა აღნიშნული პერიოდისათვის. მიუხედავად იმისა, რომ დიდმა და ფინანსურად ძლიერმა ორგანიზაციებმა განახორციელეს გარკვეული ცვლილებები შრომის უსაფრთხოების კუთხით, მცირე ორგანიზაციები, რომელთა პროფილიც არის კონტრაქტორად ან ქვე კონტრაქტორად მუშაობა, შრომის უსაფრთხოების დონე კვლავ კრიტიკულია.

არსებული გამოწვევების გათვალისწინებით საჭიროა:

გავზარდოთ თანამშრომლებთან გასაუბრებებისა და ინსტრუქტაჟების რაოდენობა და ხარისხი, უზრუნველყოთ თანამშრომლების გაზრდილი ჩართულობა შრომის უსაფრთხოების კუთხით. რეგულარულ რეჟიმში მივიღოთ ინფორმაცია თანამშრომლებისაგან პრობლემებზე და მათთან ერთად ვიმსჯელოთ მათი მოგვარების პრაგმატულ გზებზე.

შრომის უსაფრთხოების სამსახური და სამუშაო ობიექტების მენეჯმენტი უნდა დარწმუნდეს, რომ ცვლის უფროსებისა და სუპერვაიზერების კომპეტენცია არის დამაკმაყოფილებელი, რათა მათ შეძლონ ყოველდღიურ რუტინაზე დამოუკიდებელი და კომპეტენტური გადაწყვეტილებების მიღება, ამისათვის მნიშვნელოვანია რეგულარულ რეჟიმში მიმდინარეობდეს მათი სწავლება და შეფასება.

პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით საჭიროა ორგანიზაციაში დაინერგოს შეჯიბრობითობის პრინციპი მუშა/პერსონალს შორის. მოხდეს გამორჩეული თანამშრომლების ყოველწლიური წახალისება სამუშოსა და მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობის ეფექტურობის გათვალისწინებით. წამახალისებელ ზომად გამოყენებული იქნას ფასიანი ვაუჩერები, ჯილდოები, სერთიფიკატები, საგზურები და ა.შ. პროცესის სისტემატიზაციის მიზნით საჭიროა ყოსაქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ წლის დასაწყისში განისაზღვროს წახალისების ზომები და ფორმები

კონტრაქტორებთან მიმართებაში ციკლი: კონტრაქტორის შერჩევა, შეფასება, ობიექტზე დაშვება, ტრეინიინგი მონიტორინგი და საბოლოო შეფასება მკაცრად უნდა იყოს დაცული. ორგანიზაციული მართვის არც ერთმა რგოლმა არ უნდა დაუშვას არსებული ციკლიდან გადახვევა.

6. ლიდერობა და შრომის უსაფრთხოების კულტურის ამაღლება ორგანიზაციაში.

სტატისტიკის მიხედვით კომპანიებშ ბოლო წლებში მომხდარი ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ მათი გამომწვევი ძირითადი მიზეზები იყო თანამშრომლების მხრიდან შრომის უსაფრთხოების წესებისა და ინსტრუქციების დარღვევა და უგულვებელყოფა, რაც მიგვანიშნებს კომპანიებში შრომის უსაფრთხოების კულტურის არასასურველ დონეზე.

ყოსაქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუვე ზემოთ თქმულის შპს „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ“-ში აღმოფხვრა შესალებელია მხოლოდ და მხოლოდ ლიდერობის გაძლიერებით, მართვის რგოლის მხრიდან და თანამშრომლების უფრო მეტი ჩართულობით შრომის უსაფრთხოების საკითხებში.

შპს „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ“-ში ლიდერობის გაუმჯობესების კუთხით მოქმედებს პროგრამა „გასაუბრება უსაფრთხოებაზე“. სამუშაო ობიექტზე პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან მიიღონ შესაბამისი ზომები დაფიქსირებულ საფრთხის შემცველ ქმედებებზე და შეადგინონ შესაბამისი ანგარიში, როგორც წერილობით ასევე განახორციელონ შესაბამისი ანგარიშგება. ყოსაქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ საფრთხის შემცსაქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ ქმედება თანამშრომლის, კონტრაქტორის და მესამე მხარის მიერ უნდა იყოს შეჩერებული. დამრღვევს უნდა მიეცეს განმარტება საფრთხის შემცველ ქმედებასა და შესაძლო ნეგატიურ შედეგზე, ისე რომ მან გაათვითცნობიეროს საკუთარი ქმედების შინაარსი და შესაძლო შედეგი. საფრთხის შემცველ ქმედებასთან ერთად ასევე წახალისებული და შექებული უნდა იყოს სანიმუშო პრაქტიკის მაგალითები, ხელმძღვანელი პირების მხრიდან, რათა მათი კარგი ქცევა

და საქმისადმი დამოკიდებულება არ დარჩეს შეუმჩნესაქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ.

შპს „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ“-ში ყოსაქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ წლის ბოლოს მოეწყობა დააჯილდოვება იმ პირების, რომლებიც წლის განმავლობაში გამოავლენენ საკუთარ თავს შრომის უსაფრთხოების წესების დაცვითა და სანიმუშო ქცევით. წამახალისებელი ღონისძიების შინაარს კი განსაზღვრავს კომპანიის H&S, დირექტორთან შეთანხმებით.

წამახალისბელი ღონისძიებების შესახებ სხვა დამატებით გადაწყვეტილებას ღებულობს კომპანიის H&S, დირექტორთან შეთანხმებით.

7. თანამშრომლების ჩართულობა და კონსულტაცია

შპს „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ“-ს მნიშვნელოვანია საკუთარი თანამშრომლების აზრი და შეხედულება სამუშაო ობიექტზე არსებულ შრომის უსაფრთხოების საკითხებთან და პროცესებთან მიმართებაში. ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების საკითხებში პერსონალის მეტი ჩართულობისათვის სამუშაო ობიექტებზე თათბირებზე, ასევე უნდა დაესწრონ შრომის უსაფრთხოების წარმომადგენლები, რომლებიც იქნებიან დამაკავშირებელი რგოლი პერსონალასა და მართვის ზედა რგოლს შორის.

შრომის უსაფრთხოების წარმომადგენლების მხრიდან დაყენებულ საკითხზე უკუკავშირის დამყარება სავალდებულოა მაქსიმუმ შემდგომი ჩანიშნული თათბირის პერიოდამდე.

8. საფრთხეების იდენტიფიცირება

საფრთხეების იდენტიფიცირებისათვის კომპანიაში დანერგილია ინსპექტირების პროცესები, რომლებიც დაყოფილია შემდეგ სახეებად:

გეგმიური ინსპექტირება - რომელსაც ატარებს შრომის უსაფრთხოების კოორდინატორი წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით;

რუტინული ინსპექტირება - რომელსაც ატარებენ შრომის უსაფრთხოების მრჩეველები და ახორციელებენ მონიტორინგის მიზნით;

ნორმატიული ინსპექტირება - შემოწმებები, რომლებიც ტარდება საკანონმდებლო მოთხოვნების საფუძველზე შესაბამისი აკრედიტირებული ორგანიზაციის მიერ.

გამოყენებამდე შემოწმება - ინსპექტირება, რომელსაც ახორციელებს პერსონალი კონკრეტული მექანიზმის, მოწყობილობის ტრანსპორტის და ა.შ. გამოყენებამდე.

P.S. გამოყენებამდე ინსპექტირების პროცესი, სახეები და პასუხისმგებლობები გაწერილია შესაბამის სახელმძღვანელოებსა და ინსტრუქციებში.

9. რისკების შეფასება

სამუშაო ობიექტზე საფრთხეების იდენტიფიცირება, რისკების შეფასება და საკონტროლო ზომებს განსაზღვრა/გატარება წარმოადგენს ერთ ერთ მთავარ პრიორიტეტს კომპანიისათვის.

ყველა სახის სამუშაოსთვის, შეფასებული უნდა იყოს რისკების და დადგენილი უნდა იყოს შესაბამისი კონტროლის ზომები.

იდენტიფიცირებისა და რისკების შეფასებისათვის, ასევე შრომისა და ჯანმრთელობის მართვის სისტემის მუდმივი სრულყოფისა და გაუმჯობესების მიზნით კომპანიაში გამოიყენება 4 დონიანი შეფასების სისტემა. კომპანიაში რისკების შეფასების პრინციპები ეყრდნობა საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებს და ის ხორციელდება შემდეგი საფეხურების გავლით:

- საფრთხის იდენტიფიცირება;
- საფრთხის ქვეშ მყოფი პირების განსაზღვრა
- რისკის შეფასება და საკონტროლო ზომების განსაზღვრა

საფრთხეთა იდენტიფიცირება	ამსახსაქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ ფოტო/ვიდეო მასალა	პირთა წრე	დაშავების / დაზიანების ტიპი	არსებული კონტროლის ზომები	საწყისი რისკი			დამატებითი კონტროლის ზომები	ნარჩენი რისკი			გასატარებელი ზომები / რეაგირება	შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი / ვადა	გადახედვის სავარაუდო თარიღი
					ა	შ	რ		ა	შ	რ			

- რისკების შეფასების დოკუმენტირება
- გადახედვა და განახლება

რისკების შეფასების ფორმა

რისკების შეფასება კომპანიაში წარიმართება ჯგუფის სახელმძღვანელოს „რისკების მართვის“ პრინციპების გათვალსწინებით.

რისკების შეფასება ორგანიზაციაში წარმოებს შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნის საფუძველზე. 18 თებერვლის 2020 წლის ბრაძება N 01-15/ნ და 01-21/ნ მიხედვით.

10. საკანონმდებლო და სხვა მოთხოვნები

კომპანია ვალდებულია განსაზღვროს, ის საკანონმდებლო და სხვა მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია მის საქმიანობასთან და განახორციელოს მათ შესრულებაზე კონტროლი. სხვა მოთხოვნებში იგულისხმება მოთხოვნები და წინადადებები შემდეგი სუბიექტებისაგან:

- საზედამხედველო ორგანოები;
- სასერტიფიკაციო ორგანოები;
- კონტრაქტორები და კლიენტები;
- მოსახლეობა და ა.შ.

შრომის უსაფრთხოების სფეროში არსებული საკანონმდებლო მოთხოვნები და მასთან დაკავშირებული ცვლილებები ვალდებულია აკონტროლოს კომპანიის იურიდიულმა სამსახურმა და დროულად მიაწოდოს შესაბამისი განახლებული, შეცვლილი თუ ახლად მიღებული საკანონმდებლო დოკუმენტაცია კომპანიის შრომის უსაფრთხოების სამსახურსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს (კომპანიის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს). კომპანიის იურიდიული სამსახური, ასევე ვალდებულია კვარტალში ერთხელ გადაამოწმოს საკანოდმდებლო ბაზა და მიღებულ და ძალაში შესულ საკანონმდებლო ცვლილებებზე (დადგენილებები, საკანონმდებლო აქტები და სხვა)

შედარებითი დოკუმენტის გადახედვა და განახლება ხდება საჭიროებისამებრ საკანონმდებლო და სხვა მოთხოვნების შეცვლის შემთხვევაში.

11. შეფასების კრიტერიუმები

შეფასების კრიტერიუმებად ორგანიზაციაში აღებული შრომის უსაფრთხოების მიმდინარე და ნარჩენი მაჩვენებლები.

შრომის უსაფრთხოების მიმდინარე მაჩვენებლები:

- მონაცემები ჩატარებულ ინსპექტირებებზე;
- რისკების შეფასების მაჩვენებლები
- მონაცემები ჩატარებულ ტრეინინგებზე.

12. რესურსები შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად

შრომის უსაფრთხოების საკითხების მხარდაჭერისათვის და სისტემის შეუფერხებელი მუშაობისათვის, ასევე მუდმივი სრულყოფისა და გაუმჯობესების მიზნით ორგანიზაცია განსაზღვრავს შესაბამის ბიუჯეტს, რომელსაც ყოველწლიურად ადგენს დირექტორი H&S მენეჯერთან შეთანხმებით.

13. როლი და პასუხისმგებლობები კომპანიაში

დირექტორი და უფროსი რგოლის მენეჯერები ვალდებული არიან უზრუნველყონ შესაბამისი რესურსების მოძიება, კანონთან შესაბამისობა და კომპანიის სტრატეგიის განსაზღვრა. მათ უნდა უზრუნველჰყონ შრომისა და ჯანმრთლობის სწორი პოლიტიკის მიმდინარეობა, სწორი ორგანიზაციული სტრუქტურა, კომპეტენტური პერსონალის შერჩევა, როლებისა და პასუხისმგებლობების სწორად, ნათლად გაწერა;

მენეჯეები და ადმინისტრატორები ვალდებულნი არიან დანერგონ და პრაქტიკაში გაატარონ კომპანიაში არსებული შრომის უსაფრთხოების პროცედურები, სახელმძღვანელოები და ამ დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულების პროცესები საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ არსებულ სამუშაო უბნებზე. როგორც უფროსი და შუა რგოლის მენეჯერები, ასევე პასუხისმგებელი არიან შესაბამისი რგოლისათვის გაწერილ ვალდებულებებზე.

მუშა-პერსონალი ვალდებულია დაიცვას და დაემორჩილოს კომპანიის სამუშაო ტერიტორიაზე არსებულ და მოქმედ შრომის უსაფრთხოების წესებსა და რეგულაციებს. იზრუნონ საკუთარ და კოლეგების ჯანმრთელობასა და შრომის უსაფრთხოებაზე, რაზეც გავლენას ახდენს მათი შესრულებული სამუშაო (ქმედებები) და შეუსრულებელი სამუშაო (უმოქმედობა); ამ მიზნით იმუშაონ უსაფრთხოების წესების დაცვით და სწორად გამოიყენონ არსებული ტექნიკა და აღჭურვილობა, რათა საფრთხე არ შეუქმნან საკუთარ თავსა და კოლეგებს; მიაწოდონ ინფორმაცია კომპანიის წარმომადგენლებს საწარმოო შემთხვევების შესახებ და მონაწილეობა მიიღონ შრომის უსაფრთხოების საკითხების გაუმჯობესებაში (კონსულტაცია). დაესწრონ შრომის უსაფრთხოების სწავლებებს და გამოიყენონ მიღებული ცოდნა სამუშაოების უსაფრთხოდ სესრულებისათვის

კომპანიის **შრომის უსაფრთხოების მენეჯერი,** რომელსაც ხელმძღვანელობს დირექტორი, განსაზღვრავს კომპანიის პოლიტიკასა და მიმართულებას შრომის უსაფრთხოების კუთხით. ასევე პოზიტიური შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთოხების კულტურის დანერგვას, ტრენინგ საჭიროებების განსაზღვრას და სწორი რჩევების მიცემას შრომის უსაფრთხოების კუთხით, რათა ორგანიზაციამ შეასრულოს თავისი სამართლებრივი ვალდებულებები და პოლიტიკის მიერ დასახული მიზნები.

ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მრჩევლები შპს „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ“-ს კუთვნილ მთელ ტერიტორიაზე ახორციელებენ კონტროლს, რათა დაცული იყოს კომპანიის პოლიტიკით, სამუშაო პროცედურებითა და საკანონმდებლო მოთხოვნებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

კონტრაქტორი და სტუმარი ვალდებულია დაიცვას და დაემორჩილოს კომპანიის სამუშაო ტერიტორიაზე არსებულ და მოქმედ შრომის უსაფრთხოების წესებსა და რეგულაციებს. შეათანხმოს და ინფორმაცია მიაწოდოს კომპანიას იმ საქმიანობათა რისკებზე და საფრთხეებზე, რომელიც წარმოიშვება გაფორმებული ხელშეკრულებით.

ზოგადად პერსონალის პასუხისმგებლობები და ვალდებულებები დეტალურად არის გაწერილი მათივე სამუშაო აღწერილობაში, რომელიც წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ხელმისაწვდომია თავად თანამშრომლისა და კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში.

14. სწავლებები და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება

სამუშაო ადგილზე ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების პრევენციის ერთ ერთი წინაპირობაა კომპეტენტური თანამშრომლები. კომპანია უზრუნველყოფს საკუთარი თანამშრომლების გადამზადებას როგორც პროფესიული კუთხით ასევე შიდა სწავლებებისა და ინსტრუქტაჟების ჩატარებით.

სწავლებები უნდა წარიმართოს მინიმუმ შემდეგი წესების დაცვით:

- სასწავლო პროგრამისა და სასწავლო მასალების შედგენა;

- სწავლებაზე დასწრების აღრიცხვა;
- მიღებული ცოდნის შემოწმება.

ცოდნის შემოწმება შესაძლოა მოხდეს როგორც გასაუბრებით ასევე წერილობით შესაბამისი ტესტის ჩაბარების გზით. ტესტირების შედეგად მიღებულ საბოლოო რეზულტატზე (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში) შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს კომპანიის H&S დეპარტამენტი.

14.1. ინსტრუქტაჟები სამუშაო ადგილზე

ორგანიზაციაში ინსტრუქტაჟების ჩატარება ხდება შემდეგი პრინციპების დაცვით;
შესავალი ინსტრუქტაჟი -ატარებს უსაფრთხოების მენეჯერი
ინსტრუქტაჟი სამუშაო ადგილას- ატარებს უსაფრთხოების მენეჯერი

სამუშაო წინა ინსტრუქტაჟს ატარებს სამუშაო ნებართვით გათვალისწინებულ სამუშაოებზე უფლებამოსილი პირი სამუშაოს დაწყებამდე.

14.2. პერსონალის ცოდნისა და კომპეტენციის შემოწმება

შპს „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ“ უზრუნველყოფს საკუთარი თანამშრომლების კომპეტენციის ამაღლებას შრომის უსაფრთხოების კუთხით. ასევე კომპანია უზრუნველყოფს მოახდინოს და განახორციელოს ყველა იმ პირის ინფორმირება და შემოწმება შრომის უსაფრთხოების კუთხით, რომლებიც შემოდიან გარკვეულ სამუშაოების განსახორციელებლად კომპანიის ტერიტორიაზე (კონტრაქტორები, ქვეკონტრაქტორები და ა.შ.)

საკუთარი თანამშრომლების კომპეტენციის ამაღლების კუთხით კომპანია ახორციელებს შემდეგი სახის სამუშაოებს:

- თანამშრომლების სწავლებები და ცოდნის შემოწმება/ამაღლება (ტრენინგი);
- შესავალი ინსტრუქტაჟი.
- ინსტრუქტაჟი სამუშაო ადგილზე.
- სამუშაოს წინა ინსტრუქტაჟი

15. კომუნიკაციის ფორმა და მეთოდები ორგანიზაციაში

- კომპანიაში შრომის უსაფრთხოების კუთხით (მათ შრომის საფრთხეების კომუნიკაციისათვის) პერსონალთან და მართვის სხვადასხვა რგოლთან კომუნიკაციისათვის გამოიყენება შემდეგი სახის საშუალებები:
  - ელექტრონული ფოსტა;
  - ინსტრუქტაჟები
  - საინფორმაციო, ამკრძალავი, სავალდებულო, მანიშნებელი და გამაფრთხილებელი ნიშნები.

16. დოკუმენტაციის მართვა

კომპანიაში შრომის უსაფრთხოების ძირითად საბაზისო დოკუმენტაციას წარმოადგენს:

- კომპანიის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა;
- შრომის უსაფრთხოების ძირითადი წესები;
- ჯგუფის შრომის უსაფრთხოების სახელმძღვანელოები;
- შიდა პროცედურები;
- სამუშაო ინსტრუქციები;
- რისკების შეფასებები;
- საფრთხის შეტყობინების ანგარიშები;

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის, ძირითადი წესებისა და სახელმძღვანელოების წარმოება და მართვა ხდება ჯგუფის მიერ, ისინი ხელმისაწვდომია კომპანიის სამუშაო ობიექტზე. პოლიტიკა და ძირითადი წესები განთავსებულია სამუშაო ობიექტის შესასვლელში, ხოლო სახელმძღვანელოები, ბეჭდური სახით ხელმისაწვდომია შრომის უსაფრთხოების სამსახურში.

17. შრომის უსაფრთხოების პროცედურები

შრომის უსაფრთხოების პროცედურებს ადგენს კომპანიის შრომის უსაფრთხოების სამსახური და ხელმოწერით ან შესაბამისი ბრძანებით ამტკიცებს კომპანიის დირექტორი.

პროცედურების გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან ისეთი გარემოებების გათვალისწინებით, როგორებიცაა:

- საკანონმდებლო მოთხოვნების შეცვლა;
- რისკების შეფასებისას გამოვლენილი საჭიროებები;
- ინციდენტი ან უბედური შემთხვევები;
- აუდიტის შედეგები
- ასევე ისეთი ხარვეზის დაფიქსირების შედეგად, როდესაც პროცედურით გათვალისწინებული მოთხოვნები ვერ იქნება თანხვედრაში არსებულ რეალურ მდგომარეობასთან.

პროცედურების იდენტიფიკაცია ხდება მხოლოდ და მხოლოდ მათი სათაურის მიხედვით.

პროცედურა უნდა შეიცავდეს მინიმუმ შემდეგი სახის ინფორმაციას:

- დასახელება;
- შედგენის თარიღი;
- ავტორი;
- ინფორმაცია მისი შეთანხმებისა და დამტკიცების შესახებ.
- ვერსიის №
- მიზანი,
- მოქმედების სფერო;
- პასუხისმგებლობები და ვალდებულებები

პროცედურის განახლებისას ორგანიზაციაში არსებულ ყველა ძველ ასლზე, წინა ყდაზე უნდა გაკეთდეს შესაბამისი წითელი ფერის წარწერა „გაუქმებულია“.

18. სამუშაო ინსტრუქციები

სამუშაო ინსტრუქციები ასახავს სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულების ხერხებსა და მეთოდებს
საჭიროების შემთხვევაში სამუშაოს ინსტრუქციებს შრომის უსაფრთხოების სამსახურთან შეთანხმებით ადგენენ შესაბამისი პასუხისმგებელი პირები:

- საქმეთა მმართსაქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ
- პროექტის ხელმძღვანელი
- დირექტორი

სამუშაო ინსტრუქციების შედგენა ხდება რისკის შემცველ საქმიანობებზე, რომელიც გამოვლენილია რისკების შეფასების ან აუდიტის შედეგად.

სამუშაო ინსტრუქციების იდენტიფიცირება ხდება, როგორც მისი დასახელებით ასევე ნუმერაციით.

სამუშაო ინსტრუქციები თანხმდება შრომის უსაფრთხოების სამსახურთან და მტკიცდება დირექტორის მიერ.

სამუშაო ინსტრუქციის განახლება ხდება შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- საკანონმდებლო მოთხოვნების შეცვლა;
- რისკების შეფასებისას გამოვლენილი საჭიროებები;
- ინციდენტი ან უბედური შემთხვევები;
- აუდიტის შედეგები

ასევე ისეთი ხარვეზის დაფიქსირების შედეგად, როდესაც ინსტრუქცია არ ითვალისწინებს ან არ არის გათვალისწინებული სამუშაო პროცესში დაფიქსირებული სხვა დამატებითი ხარვეზი ან შეუსაბამობა ამაც შესაძლოა ნეგატიური შედეგი გამოიღოს.

სამუშაო ინსტრუქცია უნდა შეიცავდეს მინიმუმ:

- მოქმედების სფერო, სადაც გამოყენებული უნდა იყოს არსებული ინსტრუქცია.

ინსტრუქციის განახლებისას ორგანიზაციაში არსებულ ყველა ძველ ასლზე, წინა ყდაზე უნდა გაკეთდეს შესაბამისი წითელი ფერის წარწერა „გაუქმებულია“.

19. სამუშაო პროცესების მართვა

კომპანიაში სამუშაო პროცესების მართვა, ხდება შესაბამისი სამუშაო ინსტრუქციებისა და პროცედურების გათვალისწინებით.

საფრთხის შემცსაქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ სამუშაო პროცესები, რომლებიც გამოვლენილია ან გამოვლინდება რისკების შეფასებისა და აუდიტის საფუძველზე, შექმნილია ან უნდა შეიქმნას შესაბამისი სამუშაო ინსტრუქციები (გეგმა). ყველა სამუშაო ინსტრუქცია თანხმდება შრომის უსაფრთხოების კოორდინატორთან და H&S დირექტორთან.

სამუშაო პროცესების თანხვედრა უსაფრთხოების არსებულ პროცედურებთან და სამუშაო ინსტრუქციებთან მოწმდება შრომის უსაფრთხოების სამსახურის მიერ ხარვეზების ანალიზის საფუძველზე მინიმუმ წელიწადში ერთხელ (ყოსაქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ კალენდარული წლის ბოლოს) ხოლო ახლად მიღებული და დანერგილი პროცედურისა თუ ინსტრუქციის შემთხვევაში, დოკუმენტის დამტკიცებიდან მინიმუმ 3 თვეში.

ხარვეზების ანალიზისას დაფიქსირებულ შეუსაბამობაზე სავალდებულოა შედგეს სამოქმედო გეგმა, სადაც დეტალურად უნდა იყოს გაწერილი შეუსაბამობის მიზეზები და მათი აღმოფხვრის ღონისძიებები, ასევე აღმოფხვაზე პასუხისმგებელი პირები და შესრუების ვადები.

კომპანიის შესყიდვების სამსახური ვალდებულია შეათანხმოს ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურთან შესასყიდი პროდუქცია ან მოწყობილობა. ორგანიზაციაში ახლად შესყიდულ პროდუაციაზე თუ მოწყობილობაზე სავალდებულოა მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაციის არსებობა- MSDS და საოპერაციო დოკუენტაცია, სადაც აღწერილი იქნება კონკრეტული მოწყობილობის გამოყენების უსაფრთხოების წესები, მათ შორის საავარიო და სარემონტო რეკომენდაციები.

კონტრაქტორ ორგანზაციებთან და სტუმრებთან ურთიერთობა დეტალურად არის გაწერილი შემდეგ დოკუმენტაციებში-

1. „ვიზიტორი და კონტრაქტორების უსაფრთხოება“- ჯგუფის სახელმძღვანელო
2. „ვიზიტორი და კონტრაქტორების უსაფრთხოების პროცედურა“- შიდა პროცედურა

20. ცვლილებების მართვა

შპს „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ“-ში ნებისმიერი ცვლილება პერსონალის, სამუშაო პროცესის და მოწყობილობა დანადგარის ნებადართულია მხოლოდ და მხოლოდ რისკების შეფასებისა და ცვლილებების მართვის პროცედურის შესაბამისად.

22. ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების მოკვლევა

კომპანიის ყველა თანამშრომელი, კონტრაქტორი სტუმარი და ყველა ის პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს შპს „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ“-ს სამუშაო ობიექტზე ან ასრულებს სამუშაოს სამუშაო ტერიტორიის გარეთ კომპანიის სახელით ვალდებულია შეატყობინოს პირად მენეჯერს და შრომის უსაფრთხოების სამსახურს ნებისმიერი სახის ინციდენტი და უბედური შემთხვევა.

ყველა სახის ინციდენტი ექვემდებარება მოკვლევას.

კომპანიაში ინციდენტების მოკვლევა ხდება შემდეგი სახის შემთხვევებზე

- ინციდენტი, რომელმაც გამოიწვია მსხვერპლი
- ინციდენტი, რომელმაც გამოიწვია ერთ დღეზე მეტი სამუშაო საათების გაცდენა
- ინციდენტი, რომელმაც გამოიწვია დაზარალებულის ჰოსპიტალიზაცია, მაგრამ არ გამოიწვია ერთ დღეზე მეტი სამუშაო საათების გაცდენა
- ინციდენტი, რომელმაც გამოიწვია მხოლოდ და მხოლოდ უმნიშვნელო დაზიანება
- ინციდენტი, რომელსაც შეეძლო გამოეწვია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევა

ორგანიზაციაში ინციდენტების მოკვლევაზე პასუხისმგებელია არის შრომის უსაფრთხოების კოორდინატორი.

ინციდენტი, რომელმაც გამოიწვია მსხვერპლი სავალდებულოა მოკვლეული იქნას შესაბამისი კომისიის მიერ რომელსაც განსაზღვრავს კომპანიის გენერალური დირექტორი.

ინციდენტების მოკვლევის ანგარიში დგება, წერილობითი

23 პრევენციული და მაკორექტირებელი ღონისძიებები

პრევენციული ან მოკორექტირებელი ღონისძიებები წარმოადგენს სავალდებულო შემადგენელ ელემენტს შემდეგი სახის დოკუმენტაციისათვის:

- რისკების შეფასება;
- შეტყობინება საფრთხის შესახებ;
- ობიექტის ინსპექტირების ანგარიში;
- შიდა აუდიტის ანგარიში.
- ინციდენტის მოკვლევა

პრევენციული და მაკორექტირებელ ღონისძიებებს ადგენს შრომის უსაფრთხოების სამსახური ან ადრესატი მხარე შრომის უსაფრთხოების სამსახურთან შეთანხმებით. ყოველ შეთანხმებულ ქმედებაზე გაწერილია კონკრეტული პასუხისმგებელი პირი ან პირთა წრე და შესრულების გონივრული ვადები. დაუშვებელია კრიტიკულად მნიშვნელოვანი მაკორექტირებელი ღონისძიებების გადავადება ხანგრძლივი ვადით. არასაკმარისი რესურსების არსებობის შემთხვევაში, თუ ეს არის მიზეზი

კრიტიკული საკითხის გადავადებისა, ინფორმაცია მიწოდებულ უნდა იქნას შესაბამისი ხელძღვანელი პირებისთვის ზედა მენეჯერულ რგოლზე, რათა მოხდეს სათანადო რესურსების გამოყოფა. კრიტიკული საკითხის მოგვარებამდე უნდა განხორციელდეს მისი იზოლირება, რათა თავიდან იქნას აცილებული საფრთხე.

ადრესატ მხარესთან შეუთანხმებლობის ან კრიტიკული საფრთხის არსებობის შემთხვევაში, რომელიც არ ითვალისწინებს ექსპერტულ ან სპეციფიკურ დარგობრივ ჩარევასა და ანალიზს, შრომის უსაფრთხოების სამსახურს შეუძლია დამოუკიდებლად, ადრესატ მხარესთან შეთანხმების გარეშე განსაზღვროს მაკორექტირებელი ან პრევენციული ღონისძიებები და შესრულების ვადები.

დამოუკიდებლად დაგეგმილი ზომები უნდა იყოს რეალისტური და შესრულებადი გონივრულ ვადებში.

ყველა სახის ანგარიშზე საბოლოოდ შეთანხმებული მაკორექტირებელი და პრევენციული ზომების კონტროლი ხორციელდება ელექტრონულად შრომის უსაფრთხოების კოორდინატორისა და H&S მრჩეველების მიერ.

24. კონტრაქტორი ორგანიზაციები, აუტსორსინგი და ვიზიტორი კომპანიის სამუშაო ობიექტზე

კონტრაქტორი ორგანიზაციები და სხვა დანარჩენი მესამე მხარე, რომელიც ასრულებს გარკვეული სახის სამუშაოს (მუდმივად კომპანიის ტერიტორიაზე ან გარკვეული დროის მონაკვეთში) ვალდებულნი არიან იმოქმედონ შპს „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ“-ში არსებული შრომის უსაფრთხოების წესებისა და რეგულაციების მკაცრი დაცვით.

ძირითადი პრინციპები კონტრაქტორ ორგანიზაციებთან მიმართებაში:

- კონტრაქტორის შერჩევა
- კონტრაქტორის შეფასება
- შეფასების საფუძველზე სამუშაო ობიექტზე დაშვება
- სამუშაო ობიექტზე სწავლებისა და ინსტრუქტაჟის გავლა
- მონიტორინგი სამუშაოს შესრულების პერიდში
- საბოლოო შეფასება

კომპანიის სამუშაო ობიექტზე შემოსული ყველა კონტრაქტორი ვალდებულია ყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და სამუშოების დაწყების წინ ვალდებულია გაიაროს შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი.

ინსტრუქტაჟის ჩატარებაზე პასუხისმგებელია:

- კონტრაქტორის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
- სამუშაო ობიექტის ხელმძღვანელობა
- შრომის უსაფრთხოების სამსახური

25. მზადყოფნა ავარიულ სიტუაციებზე

საგანგებო სიტუაციების მართვისათვის კომპანიის სამუშაო ობიექტებზე დაყენებულია შესაბამისი შეტყობინებისა და საჯარო ინფორმირების სისტემები.

ყველა სამუშაო ობიექტზე ტარდება პრაქტიკული და თეორიული სწავლება საგანგებო სიტუაციებზე კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით (თეორიული წელიწადში მინიმუმ ერთხელ, ხოლო პრაქტიკული წელიწადში ერთხელ)

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისათვის შექმნილია შესაბამისი ჯგუფი და მათი ქმედებები და ვალდებულებები გაწერილია შესაბამის პროცედურაში **„საგანგებო სიტუაციების გეგმა“.**

საგანგებო სიტუაციების მართვაზე პასუხისმგებლები პირი (მენეჯერი, ადმინისტრატორი და სხვა.) რომლებიც მოქმედებენ კონკრეტული ობიექტისათვის შექმნილი საგანგებო სიტუაციის ინსტრუქციის ფარგლებში.

კომპანიის შრომის უსაფრთხოების სამსახური უშუალოდ გეგმავს და მონიტორინგს უწევს დაგეგმილ პრაქტიკულ სწავლებებსა და საავარიო სიმულაციებს.

26. ხარვეზების ანალიზი

ხერვეზების ანალიზი ტარდება შრომის უსაფრთხოების სახელმღვანელოების იმპლემენტაციის შესამოწმებლად, ხარვეზების დასადგენად და მათი გამოსწორების გზების დასადგენად. ხარვეზების ანალიზი ტარდება შემდეგი სახის ჯგუფის სახელმძღვანელობისა და მასთან დაკავშირებული პროცესების შესამოწმებლად და შრომისა და ჯანმრთელობის სისტემის მუდმივი გაუმჯობესების მიზნით;

- ენერგო იზოლაცია;
- ა/ტრანსპორტის უსაფრთხოება;
- კონტრაქტორების უსაფრთხოება;
- მოძრავი მექანიზმების უსაფრთხოება.

შპს „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ“ ხარვეზების ანალიზს ატარებს სამუშაო ობიექტის მენეჯერი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან ერთად, ხოლო მენეჯერი შრომის უსაფრთხოების კოორდინატორთან ერთად. ანალიზი ტარდება წელიწადში ერთხელ, ყოსაქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ კალენდარული წლის ბოლოს, ჯგუფის მიერ შედგენილი სპეციალური კითხვარების მეშვეობით.

პროცესის დასრულების შემდგომ, შეუსაბამობების დაფიქსირების შემთხვევაში, სავალდებულოა შედგეს სამოქმედო გეგმა, გაიწეროს შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები და განისაზღვროს კონკრეტული პასუხისმგებელი პირები.

27. მიმდინარე და ნარჩენი მაჩვენებლების ანალიზი

შპს „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ“-ს შრომის უსაფრთხოების მიმდინარე მაჩვენებლებია:

- მონაცემები სამუშაო ობიექტის ინსპექტირებებზე
- მონაცემები ჩატარებულ აუდიტებზე
- მონაცემები ჩატარებულ გასაუბრებებზე
- რისკების შეფასების შედეგეად მიღებული მონაცემები
- პერსონალის კონსულტაცია ჩართულობით მიღებული მონაცემები

ნარჩენი მაჩვენებლებია:

- ინციდენტების რაოდენობა;
- ინციდენტების სიხშირის და სიმძიმის მაჩვენებლები;
- ჯარიმები და სანქციები;
- მონაცემები პროფესიულ დაავადებებზე.

აღნიშნული მაჩვენებლების განხილვა უნდა მოხდეს სამუშაო ობიექტებზე კომიტეტის თათბირებზე შრომის უსაფრთხოების კოორდინატორის მხრიდან.

წელიწადში 1ჯერ აღნიშნული მაჩვენებლების ანალიზი დირექტორის მხრიდან

ზემოთ აღნიშნულ მაჩვენებლებთან ერთად, ასევე ანალიზს და განხილვას ექვემდებარება:

- მაკორექტირებელი და პრევენციული ღონისძიებების შესრულების სტატუსები
- საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულების სტატუსებს;
- მიზნებისა და ამოცანების შესრულების სტატუსებს;
- ჯგუფის მოთხოვნების ადგილობრივ დონეზე იმპლემენტაციის სტატუსები;